№ 21
პარასკევი, 28 იანვარი 1894

1877—1894

# ივერია

№ 21
პარასკევი, 28 იანვარი 1894

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| 11 . . . | 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 10 . . . | 8 | 75 | 4 . . . | 4 | 75 |
| 9 . . . | 8 | — | 3 . . . | 3 | 50 |
| 8 . . . | 7 | 25 | 2 . . . | 2 | 75 |
| 7 . . . | 6 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
**გაზეთის დასაბარებლად:**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას—სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კაპეიკი.

**„ივერია“**
გამოდის 1894 წელს
**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
ტფილისი,
**„ივერიის“ რედაქციას**
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას,
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
საფოსტო ადრესი:
**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА“.

**მიიღება ხელის მოწერა**
1894 წლისათვის
ყოველ თვიურ ქართულ ჟურნალ
**„მოამბე“**-ზედ

| | 1 წლით | 6 თვით | 3 თვით |
|---|---|---|---|
| ფასი გაგზავნით კავკასიისა და რუსეთის ქალაქებში . . . . . . . . . . . . | 10 მან. | 6 მ. | 4 მ. |
| საზღვარ გარეთ . . . . . . . . . . | 13 მან. | 7 მ. | 5 მ. |

ვისაც წლიური ფასის ერთად შემოტანა ეძნელება, შეუძლიან შემოიტანოს: 1 იანვრამდე 4 მან., 1 მაისამდე 3 მან. და 1 სექტემბრამდე—3 მან.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში, ჟურნალ „მოამბის“ რედაქციაში, რომელიც იმყოფება ლორის-მელიქოვის ქუჩაზე № 13.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, редакція „**Моамбе**“.

რედაქტორი ალექსანდრე ჭყონია
გამომცემელი ნიკოლოზ ლოლობერიძე

ქართული თეატრი
პარასკევს, 28 იანვარს
ქართული დრამატიული საზოგადოების დასის მიერ
**ვ. ს. ალექსეევ-მესხიევის**
მონაწილეობით
წარმოდგენილი იქნება:
**გამწარებული ცხოვრება**
დრ. 4 მოქ. გადმოკ. რუსულით.
მონაწილეობას მიიღებენ: ქქ. ავალიშვილისა, ნებიერიძისა და სხვ. ბბ. მესხიევი, გუნია, სვიმონიძე და სხ.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
დასაწყისი $7^1/_2$ საათზედ.

შაბათს, 29 იანვარს
საზაფხულო თეატრში
მომავალ ქართულ დედათა სასწავლებლის სასარგებლოდ
**ქ-ნ პაპაიანის**
მონაწილეობით
საოპერო დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:
**მინიონი**
ოპერა 4-ს მოქმედებად, მუსიკა ა. ტომისა.
მინიონის როლს შეასრულებს
ქ-ნი პაპაიანისა
იდირიჟორებს ი. ა. ტრუფფი
დასაწყისი საღამოს 8 საათზედ, დასასრული 11 საათზედ. (2—1)

**წერილები და კორესპონდენციები** უნდა იგზავნებოდეს მხოლოდ რედაქციის სახელზედ.

## ტფილისი, 28 იანვარს

მოგეხსენებათ, კახეთის მემამულეთა შორის დიდი ხანია მუშაობს ის აზრი, რომ საჭიროა დაარსდეს კახეთის მკვიდრთაგანვე ისეთი საზოგადოება, რომელმაც უნდა იტვირთოს და იზრუნოს, რათა კახეთის დიდსა და უხვს სიმდიდრეს— კახურს ღვინოს მოუაროს, მუშტარი ბლომად აუჩინოს და ბაზარი გაუხსნას, გაუფართოვოს. მოგეხსენებათ ისიც, რომ დღეს უკვე შემდგარია წესდება ასეთის საზოგადოებისა ამ სახელწოდებით: „Общество Кахетинскихъ Садовладѣльцевъ для сбыта своихъ винъ“.

წესდების შემდგენელთ ამასთანავე ცალკე წერილითაც განუმარტავთ, რა მიზეზმა და გარემოებამაც გამოიწვია ასეთის საზოგადოების დაარსების სურვილი. წესდებაცა და ეს განმარტების წერილიც დღე-დღეზედ უნდა იქმნას წარდგენილი, სადაც ჯერ არს, დასამტკიცებლად.

მართლაც, ქვეყანამ იცის კახურ ღვინოების ღირსება. ეს ღვინოები ისეთის თვისებისაა, რომ ადვილად შეუძლიანთ მოცილეობა გაუწიონ რუსეთში უცხო ქვეყნების ღვინოებს, რომელზედაც მეტის სიძვირის გამო უმრავლესობას ხელი არ მიუწვდება, თუ მართლა ნამდვილი ღვინოებია და არა შეთითხნილი სხვა-და-სხვა მასალისაგან ყურძნის წვენის გარდა. ხოლო თუ კახური ღვინოები ნაკლებად მოიპოვება რუსეთის ბაზარში, ამის მიზეზი ის-კი არ არის, ვითომ ან ღვინოსა ჰქონდეს წუნი, ან ნაკლებად მოჰყავდეთ, ან კიდევ სხვა ქვეყნის ღვინოებზედ ძვირი იყოს, არამედ ის, რომ დღეს აქამომდე კახურის ღვინის მომყვანთა და დამყენებელთ ძალა-უნებურად მარტო ჩვენებური მუშტარი ჰყვანდათ სახეში, მარტო ჩვენის ქვეყნის ბაზარს შესცქეროდნენ. წინად კიდევ შეიძლებოდა ასე წარმოება საქმისა. მაშინ ღვინო ამიერ-კავკასიის სხვა ადგილებისა ვერ მოდიოდა ტფილისში, რომელიც არის აქაური უმთავრესი ბაზარი. ვერ მოდიოდა, იმიტომ რომ ის ადგილები შორს იყო ქალაქზე და გზებიც არ ვარგოდა. იმ ადგილებიდამ ღვინის მოტანას დიდი ხარჯი აწვა, რადგანაც გზაც შორს იყო და დიდხანსაც უნდებოდნენ ზიდვას. ამ დიდხანს დარჩენას გზაში სხვა ზარალიც მოსდევდა, რადგანაც იმ ადგილების ღვინოები, როგორც უფრო სუსტნი, ადვილად ფუჭდებოდა და ვერ იტანდა ხანგრძლივს და დიდს გზას. ცხადია, რომ ამისთანა გარემოებაში კახური ღვინო ბატონობდა ტფილისში და წინ იდგა ყველა სხვა გვარ ღვინოზე ჯერ ღირსებითა და მერე მით, რომ ახლო იყო ბაზარზე იმოდენად, რომ იტანდა გზის ხარჯსა. საღდებოდა კიდეც ქალაქში კახური ღვინო, ჯერ იმიტომ რომ ბაზარი ერთხელ შეჩვეულ და დაჩემებულ კახურის გემოს ეტანებოდა, და მერე—აქაური ბაზარი არა საჭიროებდა, რომ ღვინო გამძლე ყოფილიყო. იგი ბაზარი სჯერდებოდა მეორე მოსავლამდე მაინც გაეძლო ღვინოს, რადგანაც ამ ხნის განმავლობაში ღვინო სრულიად საღდებოდა და ამ სახით ბაზარი იტევდა მთელის წლის მოსავალს კახეთისას. გარდა ამისა, სიმაგრე და სიკეთე კახურისა იმოდენაა ეხლაც, რომ, იშვიათ შემთხვევას გარდა, ადვილად ინახება ერთის წლის განმავლობაში. ამისათვის არც ხარჯია საჭირო, არც ბორჯი და არც განსაკუთრებულის სიფრთხილით დაყენება და მოვლა ღვინისა. ტფილისსაცა და საზოგადოდ კახურის ღვინის აქაურს მუშტარსაც ამაზე მეტიც არა უნდოდა-რა. ცხადია, ღვინის მოყვანასაც და დაყენებასაც ამ ორის გარემოებისათვის უნდა გაესწორებინა ანგარიში და შეჰფერებოდა თავის მუშტრის გემოვნებას და საჭიროებას. ამიტომაც, ოღონდ ღვინოს გამძლეობა მოსავლიდან-მოსავლამდე ჰქონოდა და სხვა ჭეშმარიტ სიკეთესთან ცოტაოდენი სიმწკლარტეც, ურომლისოდაც აქაური მუშტარი ღვინოს ღვინოდ არა ჰხადიდა, და აქაურ ბაზარში მუშტარი არ დააკლდებოდა.

ეხლა გარემოება სულ სხვაფრივ შეიცვალა და კახურ ღვინოს თითქმის ხელიდამ გამოეცალა აქაური ახლო მახლო ბაზარი და მუშტარი. გაყვანილ იქმნა რკინის გზა ბათუმიდამ ბაქომდე და ამ მიზეზით ღვინის გადატან-გადმოტანა გაადვილდა, გაიაფდა სხვა ამიერ-კავკასიის ღვინის ადგილებიდამ, რომელთაცა ხვდება რკინის გზა.

ამის გამო არა-კახურ ღვინოებით აივსო ჩვენებური ბაზრები და, თუმცა ეს ღვინოები კახურზე გაცილებით

## ფელეტონი

### ქიზიყის ავ-კარგი.

მთელი სიღნაღის მაზრა ქიზიყში, სადაც 100 ათასი მცხოვრებელია, სადაც ხალხ-მრავალი რვაას-ცხრაას კომლიანი სოფლები გარეგნობით პატარა ქალაქებს ჰგვანან, სადაც ორას-სამას კომლიანი სოფელი პაწია სოფლად ითვლება და ვერც ერთი საქართველოს კუთხე ვერ შეედრება ქიზიყს ბუნებას სიმდიდრით თუ კარგის პურ-ღვინით, მაინც დიდად სავალალო მდგომარეობაშია დღეს ასეთი თვალსაჩინო მხარე ქვეყნისა. დავუმატოთ ამას ისიც, რომ ქიზიყში არა ყოფილა ადამიანთა გულ-გონების დამჩაგრავი ბატონ-ყმობა, რის გამოც ქიზიყელებს იმ თავით ამ თავამდე თავისუფალის გამჭრიახობით უმოქმედებიათ ჭკუაც, ენაც და მკლავიც; ამას ჰმოწმობს ძლევა-მოსილი ქიზიყელების გულ-გამეხებული ბრძოლა წარსულ მტერთან და დღევანდელი იმათი გმირული გარჯა-შრომა, თამამად მეტყველი ენა და შეუდრკალი გამბედაობა, მაგრამ, მიუხედავად ყველა ამისა, ქიზიყის უმრავლესობაც გაჭირების ჭირ-ვარამში იხრჩობა.

შეიძლება იკითხოთ: რა არის ამ ჭირ-ვარამის თავდაპირველი მიზეზიო?—ხალხის დამღუპავად მოწყობილი ალებ-მიცემა, მოკლედ მოგახსენებთ და მოკლედვე დავასაბუთებ ნათქვამს. დღეს, ჩვენის ერის უმეტესობამ თუ არა, ნახევარმა მაინც იცის, რომ სწავლა-ცოდნა ხერხია და ღონეს-კი ხერხი სჯობია ეხლანდელ დროში, მაგრამ ესეც იცის: ნივთიერი ღონე თუ არ შეგწევს, უიმისოდ სწავლა-ცოდნას ვერ მოიმკი, როგორც უმასალოდ სახლს ვერავინ ააშენებს, გულითაც რომ ეწადოს. აწინდელი ქიზიყი თავის ვაჟიშვილებს ფეხის ადგმის უმალვე მინდორში ისტუმრებს, ყოველ-დღიურ ცხოვრების საჭირო საქმეებს ამსახურებს, მოჯამაგირეებათ აყენებს ათას გაჭირების გულისათვის და მაინც კიდევ მომაკვდინებელ სიღარიბეს ვერ ამოჰსვლია უმრავლესობა.

სწავლის ფულიც რომ არაფრად ჩავაგდოთ, სკოლაში მოსიარულე ყმაწვილების შენახვას ბევრი-რამ მზამზარეული სარჩო-საბადებელი ეჭირება წლის-წლობამდის, და აი ამ სასულდგმულო მზა სარჩო-საბადებლის არ ქონაა კიდეც უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ სადაც-კი სოფლებს სკოლების დაარსებას ურჩევენ, თითქმის ყველგან არ გვინდას გაიძახიან და რიცხვით დიდად მცირე სახალხო სკოლებს, თითო სკოლაც ბეჯაათადღა ემატება ათის და ოცის წლის განმავლობაში. მაგალითად: მთელ სიღნაღის მაზრა-ქიზიყში სულ ათი სახალხო სკოლაა და ერთიც სამოქალაქო სასწავლებელია, ასე რომ ცხრა ათას მცხოვრებზე ერთი სკოლა მოდის ანუ პირველ-დაწყებითი სწავლის მბჟუტავი ნათელი ასში ერთსაც (1%) ძლივს ეღირსება; მიუხედავად ამ დიდად დამაფიქრებელ სინამდვილისა, აგერ თოთხმეტი წელიწადი მიდის ასი ათას მცხოვრებიან ქიზიყს სახალხო სკოლის დაარსება აღარა ჰღირსებია.

მთელ სიღნაღის ასი ათას მცხოვრებიან მაზრაში თუ თერთმეტი სკოლაა, ნაცვლად იმისა, თითო სოფელში ხუთი და ათი სამიკიტნოა, გარდა სხვა ურიცხვი დუქან-ბაზრებისა. ქიზიყელებს რომ ჰკითხოთ: ვინ არის თქვენი დამღუპავიო,—უწინ ურჯულოს უთვალავი ჯარ-ლაშქარი გვიკლებდა, ეხლა ზღვისოდენი ვაჭარ-ჩარჩები გვაოხრებენო, გვიპასუხებენ გულ-დაწყვეტით, რადგანაც მთელი ხალხის ნაჭირნახულევი ხალხისავე საყვლეფავად მოწყობილ ალებაში და მიცემაში იღუპება წლის-წლობამდის. და არც საკვირველია: ზღვა კოვზით დაილევაო—ნათქვამია, და ხალხის სარჩო-საბადებელს-კი არა თუ კოვზით, დოქებით სვამენ უანგარიშო ორფეხა ნადირები, რის გამოც მრავალ-ტან ჯულ მუშა-მშრომელს აღარა ჰრჩებარა, ან შვილი გამოზარდოს სასწავლებელში და ან ერთი რამ ახალ სისტემის სამეურნეო იარაღი მაინც შეიძინოს, პირ-იქით ურიის მარჩობელა ვალში ვარდება და ბევრის ბრძოლის შემდეგ შიგვე ირჩობა უშემწეოდ. ასეთსავე მდგომარეობაშია ქიზიყის მარად-განუყრელი ძმა-მეზობელი კახეთიც.

აბა მოუმართეთ ყველა სოფელს ალებ-მიცემობა ისე, როგორც დღეს ევროპის დაწინაურებულ ერთა შორის სოკოს სისწრაფით გამრავლებული საასოციო დაწესებულებანი სდუღს და გადმოდის ყოვლის სიკეთით, და მალე დაჰრწმუნდებით, რომ თუ ზღვა კოვზით დაილევა, ზღვა წვეთითვე შესდგება: როცა სოფელი თავის სიმდიდრეს თითონვე შეიკრებავს ფუტკრის ღალასავით საერთო ალებ-მიცემობის წყალობით, მაშინ იმ ზღვადქცეულ საზოგადო სიმდიდრით სკოლის დაარსებაც შეეძლება ყველა სოფელს, მეურნეობის წინ-წაწევაც, ვაგლახ ცხოვრების გაუმჯობესობაც და სხვანიც. მაგრამ, სამწუხაროდ, „ყველაფერში უპატრონოდ დავხეტიალობთ, ლობე-ყურეს ვედებით, ცალცალკე და უსარგებლოდ ვფანტავთ,

მდარე ღირსებისაა, მაინც, რადგან იაფია, ისყიდება და მერე ხშირად კახურის სახელითაც. ამ სახით კახური ღვინო შესცოტავდა ბაზარში და მისი ადგილი არა-კახურმა ღვინოებმა დაიჭირა. თუ ეხლა ჰყიდულობს აქაური ბაზარი კახურს ღვინოს, ჰყიდულობს მარტო იმისთვის, რომ დაბალ და უხეირო ღვინოში აურიონ და ისე გაჰყიდონ, როგორც კახური. ეს არის მიზეზი, რომ ძალიან ძნელია ეხლა ტფილისში ნამდვილის კახურის ღვინის შოვნა თითო-ოროლა ადგილ გარდა.

ასე შევიწროვდა დღეს კახური ღვინო. შევიწროვდა იმდენად, რომ ასეთს გარემოებაში, არა თუ ძნელია გაძლიერდეს ვენახების გამრავლება და ღვინის მოყვანა კახეთში, არამედ საფიქრებელია, რომ უფრო მეტად არ შემცირდეს და არ დაეცეს. თუ საიდგანმე შემწეობა არ აღმოუჩნდა ამ საქმეს კახეთში, მეტი რა ღონე იქმნება, ვენახების რაოდენობა და სივრცე, რომელიც საკმაოდ გადიდდა დროთა მიმავლობაში, ისევ უნდა შემცირდეს და შესცოტავდეს საზარალოდ მთელის კახეთისა და ქიზიყის კეთილ-დღეობისა.

როგორ უნდა ეშველოს მაშ ამ საქმეს? ამაზედ შემდეგ მოვილაპარაკებთ.

## ახალი ამბავი

⁂ ჩვენ მივიღეთ ვინმე მესხისაგან შეგროვილი 10 მან. შ. რუსთაველის ძეგლისათვის. ამ ფულისა იყო სულ 715 მან. 82 კაპ. შესდგა 725 მან. 82 კაპ.

⁂ ყარაიაზის მხარეს ძლიერ გახშირებულია ყელჭირვება. განსაკუთრებით ყმაწვილები ხდებიან ავად და ხშირადსაც იხოცებიან. ტფილისის მაზრის უფროსი თ. ჯანდიერი სთხოვს საგუბერნიო მთავრობას, საჩქაროდ გაგზავნოს ექიმი სენის მოსასპობლად.

⁂ ევლახი: 26 იანვარს, ღამის 2 საათსა და 43 წუთზე, როდესაც საქონლის მატარებელი დაიძრა სადგურიდგან, კონდუქტორს, ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებს ივანე მანჯგალაძეს უნდოდა ვაგონზე ასვლა, ფეხი დაუცდა, ვაგონებს შუა ჩავარდა და ძლიერ დაშავდა.

⁂ ბაქო: 26 იანვარს, საღამოს 5 საათზე განჯის გუბერნიის მცხოვრები ამბარცუმ არუთინოვი მიდიოდა რკინის გზის ლიანდაგზე. ამ დროს მატარებელმა მოასწრო და მარჯვენა მხარი ძლიერ დაუშავა, მარცხენა მკლავი-კი სულ მოსწყვიტა.

⁂ გორი: ამ დღეებში გარდაიცვალა აქ უეცრად აქაურ აფთიაკის პატრონი კარლოს შეჰფი. განსვენებულს არა თუ მთელი გორი, არამედ თითქმის მთელი გორის მაზრაც იცნობდა. კ. შეჰფვი იყო გორის ქალაქის ხმოსნად და იღებდა ყველა სხვა საქველ-მოქმედო საქმეებში მონაწილეობას. მის დასაფლავებაზე თითქმის მთელი წარჩინებული ნაწილი დაესწრო საზოგადოებასა. კუბო შეამკეს გვირგვინებით, როგორც ნათესავთა დი ნაცნობთ, ისე რამდენიმამე აქაურ საზოგადო, საქველ-მოქმედო და სახელმწიფო დაწესებულებამ. საუკუნოდ ინყოს ხსენება მისი!

⁂ ქიზიყი: სულადის ფასმა დაიწია. აქამდის მუშტარი სულადს ეძებდა, ეხლა სულადი მუშტარს ეძებს. ეს იმისთვის მოჰხდა, რომ შარშანდელმა სიძვირემ ყველას ხელი მოაჰერინა სულადისათვის, უფრო მეტად გავყიდითო, მაგრამ იმედი გაუმტყუნდათ. ქიზიყელებმა შარშანდელზედ გაცილებით დიდ-ძალი მიწები მოხნეს, რადგანაც დარიანობაც ხელს უწყობდათ და მოსავლის კაი-ფასად განაღდების იმედიც. შარშან შხამიანმა ზამთარმა დაგვილუპა ვენახები და წელს-კი ძალიან მადლიანი ზამთარია ჩვენში ჯერ-ჯერობით.

⁂ გაზ. „Нов. Обозр.“-ეს დეპეშით აუწყებენ ბაქოდგან, რომ ქალაქის მოურავად იქ ამოურჩევიათ ირეცკი. არჩევანამდე საბჭოს დეპუტაცია იყო ლილეევთან, დესპოტზენოვიჩთან, ირეცკისთანა და სხვებთან და სთხოვა, კენჭი იყარეთ ამ თანამდებობაზედაო, მაგრამ მხოლოდ ირეცკი დასთანხმდაო.

⁂ გაზ. „Новое Время“-ს აუწყებენ დეპეშით ტამბოვიდგან, რომ აქაურ საგუბერნიო თავად-აზნაურთა წინამძღოლად დიდის ხმის უმეტესობით ამოირჩიეს თავადი ჩოლოყაშვილიო.

## დამაკვირდი

სადაც სულელად უთვნა ბედნიერებას შეადგენს, იქ დიდი უგნურებაა უთვნა შეგვანისა.

თ. გრე

**

როდესაც ფული ჰლაპარაკობს, მართალი სდუმს.

რუს. ანდაზა.

**

სამართლიანად ის მიგაჩნია, რის ქმნაც ჩვეულებად გვაქვს.

დუკლო.

## ნაწყვეტი

ადგა ყვავი სავარძლიდამ<br>
სააშიყოდ, სანარნაროდ,<br>
გაითხუპნა ფერ-მარილით<br>
საარაკოდ, საანდაზოდ,<br>
ტანთ ჩაიცვა ხავერდები,<br>
მოემზადა სადარბაზოდ,<br>
გულს მოისხა ალმასები<br>
დასაშვენად, სალამაზოდ,

—

ეხლანდელი მეგობრობაც,<br>
ძმობაც ღმერთმა შეაჩვენა,<br>
თუ დაგატყეს, შეგამჩნიეს<br>
სისაწყლე და ჭირთა ჩენა—<br>
ყველა განზე გაგიდგება,<br>
ახლოს მიხვალ, გესმის ღრენა;<br>
ჰფიქრობ: ბედს კვლავ მოვეწევი,<br>
მაშინ განახავთ, ძაღლნო თქვენა!..

—

მზეო, მე შენი სხივები<br>
არაფრად მიმაჩნიაო,<br>
სხვა მყავს მზე-მაცოცხლებელი,<br>
გულს მისთვის უტირნიაო.<br>
შორს დატყვევებულს ბორკილი<br>
ვერაფრით გამისხნიაო,<br>
ვიწვი მის უნახაობით,<br>
სიკვდილიც მინატრიაო.

—

კაჭკაჭო, შენ ვერ მისწვდები<br>
ბულბულის აღმაფრენასა,<br>
ვერც იმის ლხენა-სიხარულს,<br>
ვერც მისვე ცრემლთა დენასა;<br>
ნუ უგმობ ბულბულს ჭროყინით<br>
ჭკვა-გრძნობით სავსე სტვენასა,<br>
დაეხსენ საქმეს საზეოს,<br>
ნუ გაარისხებ ზენასა.

## ტელეფონით

წკრრრ...

— რა გნებავთ?

— ხეჩატურას გაზეთი წაიკითხეთ?

— მაგისთვის სადა გვცალია? მაინც რაიყო?

— ვერა გაგვიგია-რა. ოთხშაბათის ნომერში რეცენზენტი ამბობს, ხალხი ცოტა იმიტომ დაესწრო ქ-ნ საფაროვის ბენეფისს, რომ „პიესა კარგი არ იყო ამორჩეული და არც ერთი რიგიანი არტისტი არ იღებდა მონაწილეობასაო“, იმავე გვერდზედ ზოილი ამტკიცებს, რომ საზოგადოებამ გული აიყარა ქ-ნ საფროვისაზედ, რადგან ამ ქალმა უღალატა ქართულს სცენას და რუსულ ოპერეტების გამართვა დაიწყო. აი სწორედ ეს არის მიზეზი, რომ იმის ბენეფისს საზოგადოება ნაკლებად დაესწრო და სხვა არაფერიო. აგვიხსენით, რომელი ამბობს მართალს, რომელი სტყუის?

— არც ერთი და არც მეორე. საფაროვის ქალის ბენეფისმა, ხეჩატურას გარდა, ბევრს სხვასაც აურია დავთარი. მაგალითებრ, გაზ. «Кавказъ“-ის რეცენზენტი ჰბრძანებს, რომ „ბედნიერს დღეში“, საფაროვის ქალის გარდა, ერთად-ერთი გუნია იყო კარგი, მოხუცი გენერალი მშვენიერად დაგვიყენა თვალ-წინ, რუსიციზმით რომ ვსთქვთ, „თავის ჯამში“ იყო. „Нов. Обоз.“-ეს რეცენზენტი გაიძახის, სულ არ იყო გუნია „თავისს ჯამში“, როლი არ იცოდა, მასალა კარგი ჰქონდა, მაგრამ ვერა შეჰქმნა-რა ამ მასალიდგანაო.

— მაშ რას გვირჩევთ?

— არაფერს. გირჩევთ, რომ „თქვენს ჯამში“ იყვნეთ და არც ერთს რეცენზენტს არ დაუჯეროთ, როდესაც ასე წაღმა-უკუღმა ჰლაპარაკობენ...

მეარავარ

## წერილი რედაქციის მიმართ

გიგზავნით ს. კალეში შეკრებილს შეწირულებას შ. რუსთაველის ძეგლისთვის. იე. მღ. გვარამაძე 1 მან. 10 კაპ., სტეფანე მღ. ზაქაროვი 1 მან. 5 კაპ., გედეონ მომცემლიძე და კოტე გაბრიჩიძე 1 მან., ილია გიორგაძე 1 მან., იორდანე ფარიტ წულიკიძე 40 კაპ. ვასილ დარბაზოვი 20 კ., იორდან ჩიტომე 40 კ., პეტრე გოგალოვი 20 კ., მღვდელი გიორგი ფერაძე 1 მან., სოსიკო კოჩაბროდაშვილი (გოხალოვ) 50 კაპ., ეგნატე ნადირაძე 20 კაპ. სტეფან მაღვენოვი 50 კაპ., მღვდელი სტეფან გახალოვი 2 მან., ალექსანდრე ზ. ისკანდაროვი 40 კაპ., არტემ ქახნოვი 31 კაპ. სულ შესდგა 10 მან.. 26 კაპ. ფოშტის ხარჯი 26 კაპ. დარჩება ფ[illegible] 10 მანეთი, რომელსაც გიგზავნით.

ვინმე მესხი

## ლეგენდა

(სოფ. რუსთავის, შოთა რუსთველის სამშობლოს შესახებ).

სოფ. მუსხიდგან (ახალც. მაზ.), ორის ვერსის სიშორეზედ მდებარეობს პაწია სოფელი რუსთავი. ამ სოფელში ეხლა სცხოვრობს ხუთიოდე კომლი ქურთი. რუსთავი თავის ადგილ-მდებარეობით, შეიძლება ითქვას, მოსაწყენ სურათს წარმოუდგენს მხილველს. გაშენებულია კლდიან მთების ძირში, ახალციხე-ახალქალაქის საფოსტო გზის გვერდით. სოფლის წინ, სამხრეთ-აღმოსავლეთით, მოსჩანს ცოტაოდენი ვაკე სახნავ-სათესი მიწები და საძოვრები, კლდიანი მთები-კი შემორტყმული აქვს ჩრდილოეთისა და ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის მხრით; სამხრეთად ჩამოუდის მტკვარი...

ამ სოფლის ძველ დროის ავ-კარგიანობისა არავითარი ნაშთი არ დარჩენილა არც ნასაყდარალი, არც ქვებზედ რაიმე წარწერა, არც ნასოფლარი, ან ნაქალაქევი და არც სხვა რამე; როგორც ეტყობა, ჟამთა ვითარებას აღუგვია ყოველივე ესე... საკვირველი ის არის, რომ აქეთ მხარის ...

---

რაც ბუნებას ჩვენთვის ძალა, ნიჭი და შეძლება მოუცია“ — ბ-ნ ნ. ნიკოლაძის თქმისა არ იყოს.

ეს არის კიდევ ჩვენი დიდი ნაკლი და უბედობა—სოფლის ალებმიცემობას, რომელსაც ხალხის გონება-ქონების გაღარიბებაც შეუძლიან და გამდიდრებაც, დღესაც ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს ჩვენი ინტელიგენცია, იქნება იმიტომაც, რომ ინტელიგენცია სოფელს დაშორებულია, ზედ-მიწევნით ვერ იცნობს ხალხის ზნე-ყოფაცხოვრების ბინდ-გადაკრულს სიღრმე-სიგანეს და მაშასადამე არც იცის დანამდვილებით, რომელი ღონისძიება უფრო უკეთესია მდაბიო ხალხის ერთობ წინ-წასაწევად; ან იქნება ეს იმ წინ-დაუხედავ პედანტობისაგანაც გვემართებოდეს, რომ ზოგიერთ ლილა-გაცვეთილ სისტემა - თეორიებს უფრო მეტს ყურადღებას ვაქცევთ, ვიდრე ჩვენის მდაბიო ხალხის ყოფაცხოვრების საჭიროებას და მის წარმატების შემაფერხებელ ჭირ-ვარამის თავიდამ აცილებას. ასეა თუ ისე, მაინც ჩვენი ინტელიგენცია მოვალეა იზრუნოს რამე მრავალ-ტანჯულ მოძმეთათვის...

საუბედუროდ, ვერც ნასწავლი მამამასახლისები გახშირდნენ ქიზიყში ხალხის წინ-წასაწევად. მთელ სიღნაღის მაზრაში სულ ოთხი ნასწავლი მამასახლისია, რაიცა წვეთია ზღვაში, და ამასაც თავის დამაბრკოლებელი მიზეზი აქვს: სოფლის ჭამია ბობოლებს ჭირივით ეჯავრებათ კბილის გამომჩხრეკავი,—ნასწავლი მამასახლისები რომ დავიყენოთ, სოფელს ველარ გამოვხრავთ ჩვენს ქეიფზეო. საკმარისია თორმეტიოდე სოფლის ჭამიამ თქვას რამ, რომ მთელი სოფელი თავიანთ ჭკვაზე გადიტრიალონ სხვა-და-სხვა მანქანურის ზედ-გავლენით. დღევანდელ სოფლის სრულიად განუვითარებული მოხელეები იმას-კი არა ცდილობენ, რა სიკეთე შევძინოთ სოფელს ჩვენის მეცადინეობითო, ისინი დღე და ღამე იმაზე ფიქრობენ: ვის რა გამოვგლიჯოთ და გამოვცინცლოთო, თვით სოფლის დაუცხრომლად მყვლეფავ მოვაჭრე-მოვახშეებსაც-კი თავიაანთ კალთას ქვეშ იფარავენ თავიაანთივე ჯიბე-მუცლის გულისთვის.

წარსულ წელში გლეხ-კაცობა დაარიგეს: ნუ გინდათ კალოებზე თქვენი დამღუპავი დუქნებიო; მედუქნეებსაც მისწერეს ბრძანება: არ შეგეძლოთ კალოებზედ ვაჭრობაო. ხალხს დიდად ესიამოვნა ესა, მაგრამ ბოლოს სოფლის გაიძვერა მოხელეებმა და იმათმა ავან-ჩავანებმა ყალბის განაჩენის დადგენით, რომ ვითომ თვით ხალხს სურდა კალოებზე დუქნები— მაინც წადილი აისრულეს და ას-ას ურმიანი გომები გაატენინეს სულადით ხალხის მყვლეფავ მედუქნეებს. ან-კი რას გააწყობს მარტო ოდენ დარიგება, თუნდა მამა-შვილურიც, როცა სოფლის ჭამიები თავიანთ ჭკუაზედ ათამაშებენ მთელ სოფელს მრავალ მიზეზების გამო. აი რისათვის არის საჭირო, რომ ინტელიგენცია საძალლ-ღოროდ გამხდარ სოფელს მიუბრუნდეს სამოქმედოდ.

ყალბისავე განაჩენების *) დადგენით მრავლდება ქიზიყში სოკოს სისწრაფით სამიკიტნოები. თუმცა წლეულ საიმედო გარემოებამ იჩინა თავი: ერთს სოფელში, სადაც რვა სამიკიტნო არსებობდა, მთელმა სოფლის საზოგადოებამ დაადგინა განაჩენი, არავის არ შეეძლოს ყალბი განაჩენის მიცემა მიკიტნებისათვის, რადგანაც რვა სამიკიტნო ყოველწლივ სამას-ოთხას თუმან ზარალს გვაძლევსო. ასეთივე განაჩენები დაადგინეს მიკიტნების წინააღმდეგ ზოგიერთს სხვა სოფელში, რის წყალობით გაყინულები დგანან დღეს ხალხის მარჩობელა სამიკიტნოები. მადლობის ღირსნი არიან ამ წასაბაძ საკეთილო საქმის განხორციელებისათვის ისინი, ვინც ხელი შეუწყო ასეთს საქმეს. ხალხი ძალიან გახარებულია ამ გამარჯვებით და გაიძახის: „ვახ, ერთი ი ზღვისოდენა მედუქნეებსაც შეუკრან როგორმე ჩვენი მჭამელი კრიჭაო“. დამარცხებული მიკიტნები და იმათი მფარველები-კი ძალიან მტრულის თვალით იბღვირებიან... ამ ვაჟბატონების საქციელი რომ აიწეროს, ქვასაც ენას ამოადგმევინებს შემდეგის წამოსაძახებლად: საბრალო ხალხო, როგორ-ღა გიდგა პირში სული ამ მოღალატე იუდა-კაენების ხელში!..

ერთის სიტყვით, მთელი ქიზიყი გეტყვისთ: ვაჭარ-ჩარჩებ-მოვახშეეებისაგან და სოფლის გაუთლელ ტეტიამოხელეებისაგან ვილუპებით, მაგრამ, რა ვქნათ, ვერაფერი გაგვიწყვიაო. აი რისათვის არის დიდად სასრგებლო ყველა სოფელს კეთილ-ნასწავლი მამასახლისი ჰყვანდეს საიმედო მზრუნველად. შეიძლება მაშინ ამხანაგობის წესით საქმეთა წარმოებამაც იჩინოს თავი ხალხში მცოდნე კაცების რჩევა-დახმარებით; საჭიროა მხოლოდ სანიმუშო მაგალითი, რომ ისევ დაუხანებლად გავრცელდეს ხალხში სასოფლო საალებ-მიცემო დაწესებულებანი, როგორც საზოგადო პურის მაღაზიები და სხვანი.

X.

*) ყალბ განაჩენებს ამ რიგად არდგენენ: გაჩაღებულ სუფრასთან და გადახსნილ ქისასთან რომელიმე მჯღაბნავი მიაწერავს განაჩენს სოფლის უმრავლესობის გვარ-სახელებს ხალხის დაუკითხავად, მერე იმათ მაგივრად ხელს მოაწერს, მამასახლისი დაჰბეჭდავს და წარადგენენ, სადაც ჯერ-არს.

ავტორი

რეს, სადაც თამარ დედოფლის დროის ტაძრები, მონასტრები და ქალაქ-სოფლები ყოფილა, თითქმის ყველას ნაშთი დღემდე ცხადად გვიმტკიცებს იქ ცხოვრების დუღილს და ერის არსებობას და ეს რუსთავი-კი, რომელიც თამარ მეფის დროსვე ეკუთვნის არავითარს ნაშთს არ წარმოგვიდგენს დღეს თავის ძველ დროის არსებობისას...

მკითხველთ უნდა განუზიაროთ მხოლოდ ზოგიერთი ლეგენდა, ხალხში დღემდე დაშთენილი ამ სოფლის შესახებ.

რუსთავის მახლობლად ოციოდე საჟენის მანძილზედ, იქ, საცა კლდე დასცქერის მტკვარს, დასავლეთის მხარეს, ყოფილა საყდარი, რომელიც თავის ძლიერებითა და საკვირველმოქმედებით განთქმული იყო თურმე აქეთკენ. ერთხელ, ძველ დროს, ვიღასაც სახლში მძიმე ავადმყოფი ჰყოლია. ავადმყოფის პატრონი, რომელიც ერთ მტკვარ გაღმა სოფელში მოსახლობდა, წამოსულა ამ საყდარში სანთლების ასანთებად და შესახვეწად, რომ მისი ავადმყოფი მორჩენილიყო სნეულობისაგან. მდინარე მტკვარი ამ დროს გაზაფხულის წყლებით მოდიდებული ყოფილა და ფონში გამოსვლა ავადმყოფის პატრონს ვერას გზით ვერ მოუხერხებია. სანთლები მტკვრის პირას დაუწყვია და შეჰვედრებია, მიეღო საყდარს ეს შესაწირავი და განეკურნა სნეული. ვიდრე ეს კაცი გამობრუნდებოდა უკან, ეკლესიიდგან ერთი კაჰკაჰი გამოფრენილა გაღმა, სანთლები აუტაცია და ეკლესიასთან გაუტანია. ვიდრე ავადმყოფის პატრონი შინ მოსულა, სნეული ფეხზე ამდგარა და განკურნებულა. თვით ძველი რუსთავიც სწორედ ეხლანდელ რუსთავის ადგილზედ ყოფილა. სოფელი დიდისა და მაღალის გალავნით შემოზღუდული ყოფილა (დღეს ამის კვალი არავითარიმე ნაშთით არა მტკიცდება). რუსთავი მოზრდილი სოფელი ყოფილა. ზოგნი ამბობენ, რომ, სოფელი-კი არა, ქალაქი იყოო. შიგ მოსახლობდნენ ქართველები და იმათი ტანთ-საცმელი უფრო ყიზილბაშურს წააგვდა, ვიდრე დღევანდელ ქართულს; ზნე-ჩვეულება, ხასიათი, სახლების აგებულობა და სხ. ყიზილბაშურივე ჰქონდათო.

სახელ-წოდება ამ სოფლისა—„რუსთავი“—წარმომდგარა შემდეგის გარემოებიდგან: სოფელს ჰქონია სასმელ წყლად მტკვარიც და ერთი სხვა წყაროც; ეს უკანასკნელი სოფელზედ ცოტა მოშორებით თურმე იყო იგი გადმომდინარეობდა თურმე ერთის წითელ კლდიდგან. ხალხს უთქვამს: მოდით, ეს წყარო გამოვიყვანოთ სათავიდგან სოფლამდის რუს შემწეობითაო. დაუწყვიათ წყაროს თავიდგან რუს თხრა, მაგრამ რამდენიც უთხრიათ, იმდენი კლდე გამოჩენილა ბოლოს, ბევრის წვალების შემდეგ, მცირე ოდენი რამ გაუთხრიათ და ის წყარო გადმოუყვანიათ ამ რუში. წყაროს გადმოყვანა რუში და სათავიდგან მოწყვეტა ერთი ყოფილა. აი აქედგან წარმომდგარა სახელი რუსთავი

რუსთაველებს მღვდლად ერთი ღვთის მოსავი და პატიოსანი მოძღვარი ჰყოლიათ. ისეთი წმინდა კაცი ყოფილა ეს მღვდელი, რომ აღელვებულს მტკვარზედ ზეზეურებ, ტან გაუხდელად, როგორც მშრალზედ გავიდოდა თურმე გაღმა მრევლის მოსავლელად ისე, რომ ქალამანწინდაც არ დაუსველდებოდაო *). მაშინ მტკვარზედ ხიდები არსად ყოფილა, თვინიერ ვარძიის ხიდისა, რომელიც ძალიან შორს იყო თურმე.

მღვდელი მეტად ნასწავლი იყო, ცოლი არა ჰყავდა და მხოლოდ ორს პაწია ვაჟიშვილს შეჰხაროდა. მღვდელი ეკლესიის გალავანში სცხოვრობდა და რუსთავში მხოლოდ სამსახურის შესასრულებლად ჩადიოდა ხოლმე; მისი ვაჟიშვილები-კი გამუდმებით სცხოვრობდნენ თავის ბიძასთან.

ერთხელ ეს მღვდელი სხვა სოფლებში იყო სამსახურის აღსასრულებლად, სადაც ერთ ახალგაზდა მეფე-დედოფლის ჯვარის საწერად მიიპატიჟეს. პატარძალი ისეთის სილამაზისა და სიმშვენიერისა იყო, რომ მღვდელს ეშმაკმა სძლია და ამ ქალზედ გულში ცუდი აზრი გაივლო... როდესაც მღვდელი დაბრუნდა რუსთავისაკენ და შემოსდგა ჩვეულებრივ ფეხი მტკვარზედ გაღმა—ეკლესიისაკენ გასასვლელად, ეკლესიიდგან ხმა მოესმა: „შესდექ, შე წყეულ-შეჩვენებულო და შთავარდი მაგ წყალში, დაირჩე თავი და შეიქენ ეშმაკის კერძი, რადგან ღირსი აღარა ხარ ჩემის წმიდა ტრაპეზისა“.

მღვდელს უგრძნია თავი დავლუპეო და სული ეშმაკს მივეციო, უშვერია ფეხი და ჩავარდნილა მტკვარში, რომელსაც ხელად ჩაუძირია და შთაუნთქავს თავის აღელვებულ ზვირთებ შორის...

ობლად დარჩენილი მისი შვილები აღზრდილან ბიძასთან. ერთი მათგანი ორის თვალით ბრმა ყოფილა. როდესაც დავაჟკაცებულან, ცოლები შეურთავთ და ხვნა-თესვისთვის ხელი ჩაუვლიათ; ეხლანდელის რუსთავის ვაკე სახნავ-სათესი მიწები იმათა სჭერიათ. ამათ იმდენი პური მოსდიოდათ თურმე, რომ ადგილს ვერა ჰშოულობდნენ ჩასაყრელად. ერთ წელს, როდესაც ეს ძმები გაყრილან, იმოდენა აუარებელი პური მოსვლიათ, რომ განიჩბული ხვავები კარში, მინდორში დარჩენიათ. ძმებს დაუწყვიათ ამ ხვავების განაწილება. პურს ჰყოფდა თვალ ხილული ძმა კოდით და ბრმა ძმაც იქვე იჯდა და თვალ-ყურს ადევნებდა თურმე. აავსებდა თვალ ხილული ძმა კოდს პირამდის და ეტყოდა ბრმა ძმას: „აი, მოუსვი ხელი კოდსა, სავსეა, ეს მეო“, და გადასცლიდა ცალ მხარეს თავისთვის; მერე დააბრუნებდა კოდს, პირქვე მოამხობდა და ძირს ზემოთ უზამდა, ძირზედ ორიოდე მუჭა პურს დააყრიდა და ეტყოდა კიდევ ბრმას: „აი, ძმაო, მოუსვი ხელი კოდსა, სავსეა, ესეც შენაო და გადასცლიდა მეორე მხარეს ბრმისათვის“. ბრმა ძმა-კი წყვის დროს ეუბნებოდა: „რა ვიცი, ძმაო, რას ვხედავ მე საწყალი; სწყავს მწყველი, ჰხედავს ღმერთიო“. ამ თქმაზედ მთელი იმოდენა პურის ხვავი გამიწებულა და დღეს ეს გამიწებული პურის ხვავი, რომელიც ეხლანდელ რუსთავს ზემოდ, ჩრდილოეთის მხარეს არის, ნამდვილი პურის ხვავს ემსგავსება, სწორედ იმ სახისაა. მოღალატე ძმა გაღარიბებულა, და ბრმა ჰალალი ძმა გამდიდრებულა, ღმერთს აუარებელი სარჩო-საბადებელი მიუცია.

*) უწინდელი მღვდლები ქალამნებს იცვამდნენ და იოტის ოდენაც გარეგანის ტანთ-საცმელით კოხტაობას არ იჩენდნენო...

ავტ.

ამ ბრმას შვიდი შვილი გასჩენია: სამი ქალი და ოთხი ვაჟი. ვაჟებიც მამასავით ღვთის მოშიშნი ყოფილან, ერთი მათგანი ძალიან მეცნიერი გამოსულა, მთელის ქვეყნის რაც სასწავლებლები, ჰკვის საპეიტრო ანგარიშები ყოფილა, შეუსწავლია და ხალხში დიდი სახელი გაუთქვამს. ამ დროს ქვეყნის მეფედ თამარ-დედოფალი ყოფილა, რომელსაც საცხოვრებელ ადგილად ვარძია ჰქონია. თამარ დედოფალი თავის სახელმწიფო საქმეებს არჩევდა და აქ სჭრიდა, ერთს დიდს მღაროში, რომელსაც ეხლაც თამარ დედოფლის „დივანხანას“ უწოდებენ. ეს განათლებული კაცი თამარს ამ კანცელარიაში გამუდმებით მწერალ—მდივნად ჰყოლია. ყოველსავე ქაღალდს ეს განათლებული მეცნიერი სწერდა თურმე, თამართან შეჰქონდა სხვა ოთხში და იგი მხოლოდ ხელს აწერდაო. თამარი ომიანობის, ან სხვა სახელმწიფო საქმეებს ყოველთვის ამ მეცნიერის რჩევით სწყვეტდა, ერთის სიტყვით, თამარის პირველი მახლობელი იყო ეს კაცი, როგორც მოგვითხრობს ხალხის თქმულება.

რა სახელი ერქვა ამ კაცსა, რა გვარისა იყო ამაზედ ხალხის თქმულება არას გვეუბნება, მხოლოდ რუსთაველ ბრმა კაცის ოთხ ვაჟიშვილთაგანი იყო ეს მეცნიერიო...

ვ. კოპტონაშვილი

სოფ. მუსხი.

## რუსეთი

—

რუსეთის შავის ნახშირის მწარმოებლებმა გადასწყვიტეს, დეპუტაცია გავუგზავნოთ ფინანსთა მინისტრს და ვიშუამდგომლოთ, რომ ნუ შემოიღებს შესამსუბუქებელს ღონისძიებათ რუსეთში საზღვარ-გარეთის ნახშირის რუსეთში შემოტანის გასაადვილებლადაო.

—

ფინანსთა სამინისტროს გაწერილ ხარჯთა დეპარტამენტს შეუმუშავებია ფრიად საყურადღებო კანონ-პროექტი იმის შესახებ, რომ გაწერილი ხარჯი შეუფარდდეს რუსეთის იმპერიის სხვა-და-სხვა ადგილების მცხოვრებთა ქონებრივი მდგომარეობა. ეს კანონ-პროექტი მოუსმენია სახელმწიფო საბჭოს დეპარტამენტთა შეერთებულ კრებულს და მოუწონებია. ამ კანონ-პროექტის დედააზრი შემდეგში მდგომარეობს: ადგილობრივ თავად-აზნაურთა წინამძღოლის თავმჯდომარეობით და ერობის უფროსთა, გარდასახადის ინსპექტორების და „ისპრავნიკის“ მონაწილეობით შედგენილ იქმნება განსაკუთრებულნი საბჭონი, რომელმაც უნდა გამოიძიოს და გამოიკვლიოს მიზეზი ამა თუ იმ სოფელში ხარჯის გარდაუხდელად დარჩენისა. ამ საბჭოს გამონაკვლევი გარდაეცემა საგუბერნიო საკრებულოს, რომელიც გადასინჯავს, რიგში მოიყვანს და ამ მასალას თავისის აზრითურთ ფინანსთა სამინისტროს გაწერილ ხარჯთა დეპარტამენტს წარუგზავნის. შემდეგ ამ საგნის, ასე თუ ისე, გადაწყვეტა დამოკიდებული იქმნება ფინანსთა და შინაგან საქმეთა სამინისტროებზედ. ეს კანონ-პროექტი შეეხება მხოლოდ „ნადელების“ გამოსასყიდველს გარდასახადს.

—

ხმა დადის, რომ სახელმწიფო ქონებათა მინისტრის ამხანაგად ინიშნება პოდოლსკის გუბერნატორი ა. ა. ნარიშკინი.

—

სახელმწიფო ქონებათა სამინისტროთან არსდება ახალი ოფიციალური გაზეთი. ამ გაზეთს ერქმევა „ცნობანი სამეურნეო და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროებისა“ („Извѣстія министерства Земледѣлія и Гасударственныхъ имуществъ“).

## უცხოეთი

—

**სერბია.** სერბიის სახელმწიფოში ამ ბოლოს დროს დიდი ამბები ხდება. ახალგაზდა მეფემ სერბიისამ თავისის უფლებით განათავისუფლა სამართალში მიცემული მინისტრები, დაიბრუნა მამა თავისი, მეფე მილანი, რომელსაც აღკრძალული ჰქონდა ბელგრადში ყოფნა. აი მეფის ბრძანება ლიბერალ მინისტრების პატიების შესახებ: „ჩვენ, ალექსანდრე I-მა, ჩვენდა კონსტიტუციის მე-50 მუხ. მინიჭებულ უფლებით, ვანთავისუფლებთ ივანე ავაკუმოვიჩს, გენერალ ანტ. მოგიჩევიჩს, დმ. სტოიანოვიჩს, კ. ალკოვიჩს, სტ. რიბარაცას, ჟივ. ველიჩკოვიჩს, სვ. გვოზდიჩს, ივ. გეორგიევიჩს და ველ. კუნდოვიჩს მათ მიერ ჩადენილ საქციელისაგან, რომლის გამოც სკუპშჩინამ 4 (16) აგვისტოს დაადგინა იმათი სამართალში მიცემა. ვბრძანებთ, რომ მოსპობილ იყოს ამის გამო ყოველივე სასამართლო საქმეთა-წარმოება. ჩვენს სასჯულო საქმეთა მინისტრს მივანდობთ ამა ბრძანების აღსრულებაში მოყვანას. ბელგრადი, 16 (28 იანვარს) 1894 წ. ალექსანდრე. ანდრა გეორგიევიჩი, სასჯულო საქმეთა მინისტრი“. იმ კონსტიტუციის მუხლში, რომელსაც ასახელებს მეფე, სწერია: „მეფეს ეკუთვნის უფლება პატიებისაო“. მაგრამ რადიკალები ამბობენ, რომ მეფეს პატიების ნება არა ჰქონდა იმ დრომდე, ვიდრე სასამართლო თავისს განაჩენს არ დაადგენდაო. ამას გარდა მეფე არღვევს მე-140 მუხ. კონსტიტუციისას, რომელიც აცხადებს, რომ „სკუპშჩინის დაუთანხმებლად მეფეს ნება არა აქვს გამოიყენოს თავის უფლება პატიებისა სასჯელ-დადებულ მინისტრის სასარგებლოდაო“. რადიკალების აზრით, ეს მუხლი იმიტომ არის ჩართული, რომ მეფეს არავითარი გავლენა არა ჰქონდეს სასამართლოში საქმის წარმოებაზედ და ვერც ეს წარმოება შეაჩეროს, მით უმეტეს, რომ მინისტრთა პასუხისგების კანონის მე-33 მუხლში ნათქვამია: „სახელმწიფო სასამართლო მხოლოდ მაშინ აჩერებს წარმოებას საქმისას, როდესაც განაჩენი წაკითხულ იქმნებაო“. აქედგანაცა სჩანს, კანონს წინ-დანახული არა ჰქონია, რომ შესაძლებელია მეფემ თავის ნებით შეაჩეროს სასამართლოში წარმოება საქმისაო.

მეორეს მხრივ რადიკალები ვერც მილანის ბელგრადში მისვლას ურიგდებიან და იმათ გაზეთებში ბევრი წერილი იბეჭდება, მილანის წინააღმდეგ მიმართული, მაგრამ რადგან, დასტამბულ სიტყვის შესახების კანონით, გაზეთის აღკრძალვა მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც შეურაცხებული იქნება მეფე, ან წევრი სამეფო გვარეულობისა და მილანმა-კი თავის ნებით უარ-ჰყო ყოველივე ეს უფლება, სასამართლო არ უკრძალავს გაზეთებს ასეთის წერილების ბეჭდვას.

ამასობაში მილანს უნდა როგორმე შეურიგდეს რადიკალებს და, სხვათა შორის, რისტიჩს, მაგრამ ჯერ ძნელად სათქმელია, მოხდება ეს შერიგება, თუ არა. გაზ. „Neue Freie Presse“-ს კორესპონდენტი ამბობს, რომ მილანმა რისტიჩთან მორიგების შესახებ სთქვა: „თუ იმპერატორი ვილჰელმი ბისმარკს შეურიგდა, რისტიჩსაც შეუძლიან მე შემირიგდესო“.

## გასართობი

—

ერთს ძუნწს მეტად დუხჭირის სახის ცოლი ჰყავდა. ერთხელ შინ რომ დაბრუნდა ეს ძუნწი, ნახა, რომ იმის ცოლი ფანჯარას ფარდებს უკეთებდა.

ეგ რა ამბავია? აბა, რა სისულელეა, რომ ამისთანა ძვირფასს ქსოვილს ფარდებად აფუჭებ! უთხრა ქმარმა.

საჭიროაო, მიუგო ცოლმა, რადგან ჩვენი მეზობელი ყოველთვის ჩემ ფანჯარაში იყურება, როცა-კი ტანთ ვიცვამ.

აგრე რომ იყოს, დარწმუნებული ვარ, თითონ ჩამოიკიდებს ფანჯრებზედ ფარდებს, რომ შენი მშვენიერება თვალით აღარ დაინახოსო, უპასუხა გაჯავრებით ქმარმა.

**

ავადმყოფი. გამარჯობათ, ბ-ნო ექიმო!

ექიმი. ამას რას ვხედავ? ცოცხალი ხართ კიდევ და ფეხზედ დადიხართ.

ავადმყოფი. მადლობა ღმერთს, სრულიად კარგად ვარ.

ექიმი. სასწაულია სწორედ, სასწაული. ერთი მიამბეთ, როგორ მოხდა ეგა?

ავადმყოფი. სულ უბრალოდ. როცა თქვენ თავი დამანებეთ და სთქვით, რომ შენი მორჩენა შეუძლებელიაო, მეც ავიღე, თქვენი წამლები სულ გარედ გადავყარე, წმინდა წყალის სმას მივყევი და კარგა ლამაზად ოფლი ვიდინე. სამის დღის შემდეგ სრულიად მოვრჩი და აი, როგორც ჰხედავთ, კარგად ვარ.

ექიმი. ჰა! ჰმ! რასაკვირველია, ეგ შესაძლებელია, მაგრამ სამკურნალო მეცნიერების მხრივ-კი თქვენ უკვე მკვდარი ხართ და თქვენი ცოცხლებში ჩათვლა შეუძლებელია.

**

ერთი ხანში შესული ქვრივი დედაკაცი დაბეჯითებით ამბობდა, რომ სულ ორმოცის წლისა ვარო, და მოწმედ ერთს თავისს ძველს ნაცნობსა და მეგობარს ასახელებდა.

— მართალიაო, სთქვა ამ მოწმედ დასახელებულმა: რაღა თქმა უნდა, მართალია, რადგან ათი წელიწადია მაგისაგანვე მაქვს გაგონილი, რომ ორმოცის წლისააო.

## გამოსადეგი ცნობა

—

როგორ უნდა აშორდეს ღვინოს ნესტის გემო. თუ გინდათ ღვინოს ნესტის გემო ააშოროთ, ჯერ უნდა შეიტყოთ მიზეზი, რის გამოც მისცემია ეს გემო. ღვინოს ნესტის გემო მიეცემა, ან ცუდად გამორეცხილი, შმორიანი, ობ-მოკიდებული ჭურჭლისაგან, ან მიწისაგან, რომელიც ხშირად ჩაჭყვება უურმენს ღვინის საწურავს ბოჩკაში, მეტადრე მაშინ, როცა დაკრეფის დროს დარია.

პირველს შემთხვევაში ასე უნდა მოიქცეთ: გაფუჭებული ღვინო უნდა გადიღოთ კარგად გარეცხილ ჭურჭელში, მიუმატოთ ნამდვილი პროვანსიული ზეთი (20 ვედროზედ 1 ტოლჩა) და ურიოთ რამდენსამე წუთს. როცა ღვინო დაიდუღებს და ზეთს თავზედ მოიგდებს, მაშინ ღვინო უნდა გადაიღოთ ისე, რომ ზეთი არ გადაჭყვეს.

ხანდახან ხშირი გადაღება ღვინისა

ერთის ჭურჭლიდამ მეორეშიაც აშორებს ღვინოს ნესტის გემოს.

ნესტის გემო, რომელიც მიწისაგან არის გამოწვეული, შეიძლება აშოროთ აგრეთვე ხშირად გადაღებით ერთის ჭურჭლიდგან მეორეში და კვერცხის ცილით დაწმენდით.

პეტერბურგის ბირჟა, 21 იანვარი.

| | მყიდვე-ლისა. | გამყიდ-ველისა. | გაყიდუ-ლისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,42 | 7,45 | — „ |
| ტამოჟნის კუპონები . | 148 | 147 | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — , | — „ | — „ |
| 5°/₀ პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . | — „ | — „ | 241 |
| —მეორისა . . . . | | — „ | 225¹/₄ |
| 4°/₀ მესამე სესხისა. . | — „ | — „ | — „ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | — „ | — „ | 190 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6°/₀ . . . . . | — „ | — „ | — „ |
| 5°/₀ . . . . . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკის 6°/₀. | — „ | — „ | — „ |
| 5°/₀. . . . . . | — „ | — „ | — „ |
| 5°/₀ ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — „ | — „ | — „ |

## რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი № 2 9 ს. 30 წ. დილ. და № 4 6 ს. 50 წ. საღ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის № 1 9 ს. 52 წ. საღ. და № 3 12 ს. 25 წ დღ.

ტფილისიდგან ბაქოს № 3 მიდის 1 ს. 20 წ. დღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის 5 ს. 50 წ. საღ.

### ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის 9 ს. 20 მ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მოდის 1 ს. 30 წ. დღის.

ტფილისიდგან ხაშურს მიდის 3 ს. დღ. ხაშურიდგან ტფილისს 8 ს. 10 წ. დილ.

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

**ბათუმიდამ გადის:**

ხუთშაბათობით: დღისით 12 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში და კერჩში.

სამშაბათობით და შაბათობით: შორის გზით 2 ს. შუად. შეივლის ყველა ნავთსადგურში.

**ბათუმში მოდის:**

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსისკით და სოხუმით.

ოთხშაბათობით: დილით სწორე გზით ნოვოროსსისკით და სოხუმით.

პარასკეობით და ოთხშაბათობით: საღ. შორის გზით, შეივლის ყველა ნავთ-სადგურებში.

**ფოთში მოდის:**

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

პარასკეობით: საფოსტო და სახალხო.

სამშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხუთშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან.

**ფოთიდგან გადის:**

პარასკეობით: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე.

ხუთშაბათობით: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.


## განცხადებანი

დაიბეჭდა და ისყიდება

**НОРМАЛЬНОЕ ПИСЬМО**

იაკობ გოგებაშვილისა

ფასი ერთი აბაზი.

საწყობი წერა-კითხვის მაღაზიაში. ვინც დაიბარებს ნაღდს ფულზედ ოცს ცალსა, წიგნი დაეთმობა 16 კაპეიკად, ვინც ორმოცსა—15 კაპ. (3—2)

კბილის ექიმი

**ა. ი. ორბელი**

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (250—153)




ამხანაგობა

„ჯანმრთელობისა"

სუნელოვანი ხიმიკური-წმინდა

**ბრინჯის უმარილი (პუდრა).**

ისყიდება საუკეთესო მაღაზიებში.

ნარდად შეიძლება ყიდვა: ს.-პეტერბურგის ტეხნო-ქიმიურ ლაბორატორიაში.

ს.-პეტერბურგი. ალექსანდრეს თეატრის მოედანზედ, 9.

მოსკოვი, ნიკოლსკის ქუჩა, სახლი შერემეტევისა.

ვარშავა, „ნოვი სვეტში", 37.

## „მზა-მეტყველება"

თხზ. ანტონ კათალიკოზისა

იყიდება „წერა-კითხვის საზოგადოების" და „ქართველთა ამხანაგობის" წიგნის მაღაზიებში.

ფასი ორი მანათი და ათი შაური. (5—5)







„წერა-კითხვის საზოგადოების"

**წიგნის მაღაზიაში**

ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . . | „ | 50 |
| ვისრამიანი.. . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 40 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი . . . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა . . . . . | „ | 20 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . . | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. . | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა . . . . . | „ | 15 |
| ქილილა და დამანა . . | 3 | „ |
| შალვას თავგადასავალი ცახელისა . . . . . | „ | 15 |
| ცვარი შ. მღვიმელისა . | „ | 30 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . . | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| ატაური ან. თუმანიშვილისა. . . . . . | „ | 10 |
| კონა ი. გოგებაშვილისა . | „ | 50 |
| კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა . | „ | 40 |
| შინაური საქონელი და იმისი მოვლა-მოშენება ი. როსტომაშვილისა . . | „ | 5 |
| ვიქტორ-ჰიუგოს რომანიდამ „ოთხმოც-და-ცამეტი წელი" დ. ყიფიანისა. . . . . . | „ | 20 |
| სიბრძნე-სიცრუის წიგნი ს. ორბელიანისა. . . . | „ | 50 |
| ლექსები ვახტ. ორბელიანისა . . . . . . | „ | 20 |
| დავით აღმაშენებელი, დრამა ალ. ორბელიანისა . | „ | 40 |
| გმირისეულის ქალი, მოთხრობა ს. მგალობლიშვილისა . . . . . | „ | 20 |
| მეველე, მისივე. . . . | „ | 10 |
| თავადი იერონიმე, მისივე. | „ | 10 |
| მთიული სოსე, მისივე . . | „ | 10 |
| ქრისტინე, ე. ნინოშვილისა . . . . . . . | „ | 20 |
| რავდენიმე მოთხრობა მისივე. . . . . . . | „ | 50 |
| ოტელო, დრამა შექსპირისა, თარგ. ი. მაჩაბელისა. . . . . . . | „ | 50 |
| ქართული გრამატიკათ. ჟორდანიასი . . . . | „ | 55 |
| ლექსები გრ. ორბელიანისა | „ | 50 |
| სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმელებისა . . . . . | 1 | 20 |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა . . . . . | „ | 80 |
| სურამის ციხე, მოთხრობა ჭონქაძისა . . . . | „ | 25 |
| თამარ, სპარსული ლეგენდა . . . . . . . | „ | 10 |



# „ივერია"

ამ 1894 წელს გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს. ფასი გაზეთისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით. . . . | 10 მ.—კ. | 6 თვით . . . . | 6 მ.—კ. |
| 11 „ . . . . | 9 „ 50 „ | 5 „ . . . . | 5 „ 50 „ |
| 10 „ . . . . | 8 „ 75 „ | 4 „ . . . . | 4 „ 75 „ |
| 9 „ . . . . | 8 „ — „ | 3 „ . . . . | 3 „ 50 „ |
| 8 „ . . . . | 7 „ 25 „ | 2 „ . . . . | 2 „ 75 „ |
| 7 „ . . . . | 6 „ 50 „ | 1 „ . . . . | 1 „ 50 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია" მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію „ИВЕРІА".

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, მას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დასაბეჭდად**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი—30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის გვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერები, წერილები და კორესპონდენციები რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქნება. ხელ-ნაწერს, რომელიც დაბეჭდილი არ იქნება, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვს.

არა-გვარს მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირისპირ მოსალაპარაკებლად რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ათ საათიდგან პირველ საათამდე და საღამოობით 6-დგან 7¹/₂ საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ნიკოლოზის ქუჩაზე, 21.



გამოვიდა და ისყიდება ყველგან

ვალ. გუნიას მიერ

შედგენილნი და გამოცემულნი

## საქართველოს კალენდარი 1894 წ.

წიგნი შეიცავს 576 გვერდს დიდის ფორმატისასას, დასურათებულია ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა ნახატებით და კავკასიონის რუკით.

ფასი 50 კაპ.

## უბის წიგნი 1894 წლისათვის

მშვენიერის ყდით, ყარანდაშით და რეზინით.

ფასი 40 კაპ.

## საოჯახო კედლის კალენდარი 1894 წ.

მშვენივრად დასურათებულს კარდონზე, ორ კრასკიდ დასტამბული უქმეების და ამინდების აღნიშვნით.

ფასი 20 კაპ.

## სახალხო კალენდარი 1894 წლისათვის

შეიცავს 64 გვერდს მცირე ზომისას, მრავალ საჭირო ცნობებით და ორის სურათით

ფასი 5 კაპ.

ზემოდ ხსენებული წიგნები ისყიდება ქ. ტფილისში „წერა-კითხვის გამავრცელებელ ამხანაგობის" და ხიდეკელის წიგნის მაღაზიებში. ქუთაისში ძმ. წერეთელთან, ძმ. ჭილაძესთან, ბეჟანეიშვილთან და ხეთერელთან, ბათუმში კალანდაძესთან, ხონში წერეთელთან, ფოთში ტუღუშთან, სენაკში და ოზურგეთში თავართქილაძესთან და სხვაგანაც.

უმთავრესი საწყობი გამომცემელთან, ტფილისი, ფრეილინის ქუჩა № 7.

## სასაპარელო ესსენცია კოლბეირსა

(Essence de Salsepareille Colbert)

საუკეთესო წამალი სისხლის დასაწმენდად

იარლიგზე უნდა იყოს ამომჯდარ ასოებით წითლად დაბეჭდილი



რუსეთის ყველა საუკეთესო აფთიაქებში იყიდება, ხოლო პარიჟში Ph-cie Rogé, 9, rue du guatre Septembre.